

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს შემდეგ მიმართულებებში:

1. ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური);
2. მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური);
3. ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური);
4. გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური);
5. რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური);
6. ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური);
7. ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური);
8. ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური);
9. ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური);
10. გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური);
11. ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური);
12. სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური);
13. სპორტი (საბაზო და საშუალო საფეხური);
14. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (საბაზო და საშუალო საფეხური).

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის ბაკალავრის/მაგისტრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული აქვს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით, ასევე, სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლების მქონე პირი (საფუძველი: „საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“).

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები გამოცდა ტარდება წერითი ფორმით, მაქსიმალური შეფასება 100 ქულა. საგამოცდო ბილეთი მოიცავს შემდეგ დავალებებს:

- ესე - 20 ქულა;
- სამოტივაციო წერილი - 20 ქულა;
- სარეკომენდაციო წერილის მომზადება - 10 ქულა;
- 10 პედაგოგიური სიტუაციის/შემთხვევის/ინვარიანტის ანალიზი (თითოეული ფასდება 5 ქულით) - სულ 50 ქულა.

ესე და სამოტივაციო წერილი ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ძირითადი იდეის ჩამოყალიბება - 0-5 ქულა
- საკითხის ზოგადი ცოდნა, ორიგინალური ხედვა და თანმიმდევრული მსჯელობა - 0-5 ქულა;
- ლოგიკური დასკვნების გამოტანა - 0-3 ქულა;

- საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირებული და ფაქტობრივი გამყარება - 0-4 ქულა;
- წერის კულტურა (ორთოგრაფია, პუნქტუაცია, ლექსიკური მარაგი) - 0-3 ქულა.

(ნაშრომი არ გასწორდება, თუ მსჯელობა შემოიფარგლება 5-6 წინადადებით)

სარეკომენდაციო წერილი ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- საკითხის ცოდნა - 0-3 ქულა;
- საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირებული ჩამოყალიბება - 0-4 ქულა;
- წერის კულტურა (ორთოგრაფია, პუნქტუაცია, ლექსიკური მარაგი) - 0-3 ქულა.

პედაგოგიური სიტუაცია ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- პრობლემის იდენტიფიცირება და გამოვლენილი პრობლემის ანალიზი - 1 ქულა;
- პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა/რეკომენდაციის ჩამოყალიბება - 2 ქულა;
- პრობლემის გადაჭრის გზების არგუმენტირებული დასაბუთება - 1 ქულა.
- წერის კულტურა - 1 ქულა.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, თბილისი 2005 წ;
2. მასწავლებლის ეთიკის კოდექსი, 2010 წ;
3. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, 2008 წ.

საკონტაქტო პირი:

ლელა თავდგირიძე - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

ტელეფონი: (+995) 577 979379

ელ. ფოსტა: lela.tavdgiridze@bsu.edu.ge

გისურვებთ წარმატებებს!